ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2020 წლის 7 თებერვალი

ქ. ზესტაფონი

„ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №44 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი, 08/01/2018წ., სარეგისტრაციო კოდი: 010260010.35.127.016267) დანართ №1-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. სამსახურის სტრუქტურაში არსებული თანამდებობები

ამ დებულების შესაბამისად სამსახურის საშტატო ნუსხით სამსახურის შემადგენლობაში დგინდება შემდეგი თანამდებობები:

ა) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სამსახურის უფროსი – I რანგი (მაღალი მართველობითი დონე);

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – III რანგი, I კატეგორია;

გ) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – III რანგი, III კატეგორია;

დ) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – IV რანგი, I კატეგორია;

ე) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – IV რანგი, I კატეგორია;

ვ) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – IV რანგი, I კატეგორია;

ზ) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – IV რანგი, I კატეგორია;

თ) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – IV რანგი, I კატეგორია.”.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **თეიმურაზ საყვარელიძე**
მოვალეობის შემსრულებელი